საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 74 18.12 2020 წ. თბილისი

სპმთპ-ის №88 აღმასრულებელი საბჭოს წერილობითი გამოკითხვის გზით ჩატარების შესახებ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წესდების (რეგისტრიტებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 18 იანვრის 542 გადაწყვეტილებით) მე-8 მუხლის 8.5, 8.9, 8.10. 8.11, 8.14 პუნქტების და სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს რეგლამენტის მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს სპმთპ-ის №88 აღმასრულებელი საბჭოს სხდომა წერილობითი გამოკითხვის გზით:
   1.1 2020 წლის 28 დეკემბერს, 11 საათზე, გაიმართოს სპმთპ-ის ბიუროს წევრების ონლაინ სამუშაო შეხვედრა;
   1.2 2020 წლის 28 დეკემბერს, 15 საათზე, გაიმართოს სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს წევთა ონლაინ სამუშაო შეხვედრა.
2. 2020 წლის 29 დეკემბერს, აღმასრულებელი საბჭოს თითოეულ წევრს, ელექტრონ ფოსტის მისამართზე დაეგზავნოს აღნიშნული ბრძანება, დღის წესრიგი და დადგენილებების პროექტები;
3. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა, დადგენილებების პროექტებზე მიღებული გადაწყვეტილებები გამოაგზავნონ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, შემდეგ მისამართზე: saorganizacio@gmail.com;
4. სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრებისათვის პასუხის გაცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 11 იანვარი, 18:00 საათი;
5. დაევალოს სპმთპ-ის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს მაია ესებუას, სპმთპ-ის №88 აღმასრულებელი საბჭოს წერილობითი გამოკითხვის გზით ჩატარებასთან დაკავშირებელი საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა;
6. დაევალოს სპმთპ-ის საორგანიზაციო დეპარტამენტს აღმასრულებელი საბჭოს წევრებს გაფრთხილება და მათთვის ბრძანების, დღის წესრიგისა და დადგენილებების პროექტების გაცნობა (თან ერთვის);
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სპმთპ-ის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ.

სპმთპ-ის პრეზიდენტი **მაია კობახიძე**